საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE BODY

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 77

21 06 2016 წელი

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1700-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 21 ივნისის სხდომის N11 ოქმის მე-8 საკითხის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 9 ივნისის N03/3738 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 ივნისის N1806-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

1. მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს შ.პ.ს. ,,მარნეული ტრანსი 2009“-ს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N48 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 202 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.05.747) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N39 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 48 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.17.300) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ მოსამართლესთან (მის: ქ. მარნეული, ნარიმანოვის ქუჩა N4), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს თეიმურაზ ბერიძეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ნაბი აბდულაევი

383130 ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73 ☎ 22 53 07 // 22 26 26 RUSTAVELI str MARNEULI